???????

25 ივლისი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

ნატურალური მინერალური წყლებიდან და წყაროს წყლებიდან ფტორის მოსაცილებლად გააქტიურებული ალუმინის გამოყენების წესი

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს " ნატურალური მინერალური წყლებიდან და წყაროს წყლებიდან ფტორის მოსაცილებლად გააქტიურებული ალუმინის გამოყენების წესი" თანდართული დანართით.

მუხლი 2

ნატურალური მინერალური წყლები, რომელიც ბაზარზე განთავსებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე და არ შეესაბამება ამავე დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, დასაშვებია ბაზარზე განთავსებულ იქნეს 2024 წლის პირველ იანვრამდე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის პირველი ივნისიდან.

პროექტი

ნატურალური მინერალური წყლებიდან და წყაროს წყლებიდან ფტორის მოსაცილებლად გააქტიურებული ალუმინის გამოყენების წესი

მუხლი 1.

1. „ნატურალური მინერალური წყლებიდან და წყაროს წყლებიდან ფტორის მოსაცილებლად გააქტიურებული ალუმინის გამოყენების წესი (შემდეგში - წესი) არეგულირებს ნატურალური მინერალური წყლებიდან და წყაროს წყლებიდან ფტორის მოსაცილებლად გააქტიურებული ალუმინის გამოყენების პირობებს და მიზნად ისახავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას.

2. ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

მუხლი 2.

1.დაშვებულია ფტორის მოცილებისათვის ნატურალური მინერალური წყლებისა და წყაროს წყლების დამუშავება ალუმინის ჟანგის გააქტიურებული ფორმით.

2.ფტორის მოცილებისათვის, ნატურალური მინერალური წყლებისა და წყაროს წყლების დამუშავება ალუმინის ჟანგის გააქტიურებული ფორმით დასაშვებია ამ წესის დანართით „ტექნიკური მოთხოვნები ნატურალური მინერალური წყლებიდან და წყაროს წყლებიდან ფტორის მოსაცილებლად გააქტიურებული ალუმინის გამოყენებისათვის“ განსაზღვრული ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 3.

1. ნატურალური მინერალური წყლებსა და წყაროს წყლებში ფტორის ნარჩენების მოცილების მიზნით დამუშავების შედეგად, საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, ნარჩენების წყალში გამოთავისუფლება ტექნიკური თვალსაზრისით მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული და არ უნდა წარმოქმნიდეს რისკს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების უზრუნველყოფისათვის ბიზნესოპერატორს დანერგილი უნდა ჰქონდეს და აკონტროლოს, დანართით განსაზღვრული, პროცესის კრიტიკული ეტაპები.

მუხლი 4.

1.ბიზნესოპერატორმა, შეტყობინება, ფტორის მოცილების მიზნით ნატურალური მინერალური წყლებისა და წყაროს წყლების დამუშავების შესახებ, სააგენტოს უნდა მიაწოდოს დამუშავებამდე არანაკლებ სამი თვით ადრე.

2.ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შეტყობინებასთან ერთად, ბიზნესოპერატორმა სააგენტოს უნდა მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია, დოკუმენტაცია და დამუშავების მეთოდები რომლითაც დადასტურებული იქნება, რომ დამუშავება განხორციელდება ამ წესის დანართით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

3.ნატურალური მინერალური წყლის და წყაროს წყლის ეტიკეტზე, რომელიც ფტორიდების მოცილების მიზნით დაექვემდებარა დამუშავებას, შემადგენელი ანალიზური კომპონენტების გვერდით უნდა იქნეს მითითებული : „წყალი დაექვემდებარა ავტორიზებული ადსორბციის ტექნიკას“.

დანართი

ტექნიკური მოთხოვნები ნატურალური მინერალური წყლებიდან და წყაროს წყლებიდან ფტორის მოსაცილებლად გააქტიურებული ალუმინის გამოყენებისათვის

1. ნატურალური მინერალური წყლებიდან და წყაროს წყლებიდან ფტორის მოსაცილებლად გააქტიურებული ალუმინის გამოყენებისათვის დანერგილი უნდა იქნეს პროცესის შემდეგი მნიშვენლოვანი ეტაპები, რომლებიც დაექვემდებარება სათანადო კონტროლს:

ა) ნატურალური მინერალური წყლების და წყაროს წყლების დამუშავებისათვის გააქტიურებული ალუმინის გამოყენებამდე, იგი ექვემდებარება ინიციალიზაციის პროცედურას, რაც ნიშნავს მჟავა და ტუტე ქიმიური ნივთიერებების გამოყენებას ნებისმიერი ნარჩენების მოცილებისათვის, ასევე უკუგამორეცხვას, მცირე ზომის ნაწილების მოცილების მიზნით;

ბ) რეგენერაციის პროცედურა გამოიყენება ერთიდან ოთხ კვირამდე ინტერვალით, წყლის ხარისხის და წარმადობის შესაბამისად. ეს პროცედურა მოიცავს შესაბამისი ქიმიური ნივთიერებების გამოყენებას, ადსორბირებული იონების მოსაცილებლად, რათა მოხდეს გააქტიურებული ალუმინის ჟანგის ადსორბციის უნარის აღდგენა და თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი შესაძლო ბიოაპკის წარმოქმნა. ეს პროცედურა უნდა განხორციელდეს სამ ეტაპად:

ბ.ა) ნატრიუმის ჰიდროქსიდით დამუშავება ფტორის იონების მოცილებისა და მათი ჰიდროქსიდის იონებით ჩანაცვლებისათვის;

ბ.ბ) მჟავათი დამუშავება ნატრიუმის ჰიდროქსიდის ნარჩენების მოცილებისა და გარემო არის აქტივაციისათვის;

ბ.გ) დემინერალიზებული წყლით ან სასმელი წყლით გამორეცხვა და წყლით კონდიცირება, როგორც დამამთავრებელი ეტაპი, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ფილტრი არ ახდენს გავლენას დამუშავებულ წყალში მინერალური ნივთიერებების შემცველობაზე.

გ) ქიმიური ნივთიერებები და რეაგენტები, რომლებიც გამოიყენება ინიციალიზაციისა და რეგენერაციისათვის, უნდა შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს ან იმ ეროვნულ სტანდარტებს, რომლებიც ადგენს ქიმიურად აქტიური ნივთიერებების სისუფთავეს და გამოიყენება ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის დამუშავებისათვის.

დ)ალუმინის იონების საერთო რაოდენობა დამუშავებულ წყალში, არ უნდა აღემატებოდეს 200 მკგ/ლ;

ე)პროცესის ეტაპები უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კარგი წარმოების პრაქტიკისა და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპების შესაბამისად.

ვ) ბიზნესოპერატორმა, დამუშავების ეტაპების სათანადო ფუნქციონირებისათვის, უნდა შეიმუშაოს მონიტორინგის პროგრამა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს წყლის ძირითადი მახასიათებლებისა და მასში ფტორის შემცველობის შენარჩუნება.